პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 სექტემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 170 (10 089) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენებურები დედამიწის გარშემო

## რამდენიმე საათით ადრე სტარტამდე

**საუთჰემპტონი.** „უითბრედის" მონაწილენი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სტარტზე არიან. ყველა იახტამ, რომელიც მსოფლიოს ირგვლივ ტრადიციულ რბოლაში ასპარეზობს, გაიარა გამოცდა, შეამოწმა თავისი შესაძლებლობები, და ახლა შეჯიბრების სტარტის საზეიმო ცერემონიალს ელოდება.

საბჭოთა იახტის „ფაზისი-პეპსის" ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ნოდარ თენეიშვილმა ზედ სტარტის წინ განაცხადა: „ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ იმედები ფრთებს ისხამს, არც ისე დიდი ხნის წინ ეს ყველაფერი მეცა და ჩემს ამხანაგებსაც არარეალურად გვეჩვენებოდა. ასეთ რბოლაში საბჭოთა კავშირს ხომ არასოდროს მიუღია მონაწილეობა"?

თავდაპირველად მართლაც არარეალურად ჩანდა ყველაფერი. „ფაზის-პეპსიმ" ინგლისში ჩასვლისთანავე მიიპყრო ყურადღება თავისი უჩვეულო, არასტანდარტული კონსტრუქციისა და ხაზების წყალობით. სხვათა შორის, მთავარმა ტექნიკურმა ზედამხედველმა, წარსულში ამ რბოლის მრავალგზის მონაწილემ ერიკ სკინმ დიდხანს ამოწმა ჩვენი ნავის გაბარიტები სხვადასხვა ხელსაწყოებითა და კომპიუტერით და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ „ხომალდის" ყველა პარამეტრი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საინტერესოა, რომ გამოთვლათა რთული ფორმულის თანახმად, ნავის ზომა 70 ფუტს არ უნდა აჭარბებდეს. „ფაზის-პეპსის" ზომა 69,97 ფუტი აღმოჩნდა.

საუთჰემპტონის პორტში საბჭოთა ნავის შემოსვლა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა და სპორტსმენმა მქუხარე ტაშითა და შეძახილებით აღნიშნა. ასე ხვდებიან ინგლისში ფავორიტს. ამ კეთილი შეხვედრის საპასუხოდ თეთრ-წითელი ნავის მეთაურმა ალექსეი გუჩენკომ ჰაერში ორი რაკეტა აუშვა, რასაც ოვაციების ახალი ტალღა მოჰყვა.

...უკან დარჩა ყველა სასტარტო სამზადისი. იური დოროშენკომ დეტალურად შეისწავლა ამინდის რუკა და დაადგინა, რომ მალე კუბის მახლობლად წარმოიშვება ციკლონი ფენიქსი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ განვითარდება. ჩვენი ეკიპაჟის ამოცანაა დაასწროს ციკლონს და არ მოხვდეს მისი მოქმედების ზონაში.

## საოლქო კომიტეტის ბიუროს იმსჯელა

**საქართველოს** კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი „ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". აღინიშნა, რომ აჭარაში ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. დაისახა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა-გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებები.

## ღია წერილი

### საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის წევრებს

**პატივცემულო მეგობრებო!** წავიკითხეთ „ლელოში" დაბეჭდილი მასალა საქართველოსა და ზიმბაბვეს ნაკრებთა მომავალი მატჩისათვის მზადების შესახებ და თვალს არ დავუჯერეთ. თურმე, ნუ იტყვით, თავის ნათლობის მატჩზე საქართველოს ეროვნული ნაკრები წარსდგება მუქი ლურჯი კვართებით.

ამგვარი გადაწყვეტილება ჩვენთვის და, ალბათ, ქართული სპორტის ყველა ქომაგისთვის ერთობ არასასიამოვნო მოულოდნელობაა. პრესაში რამდენჯერმე დაიწერა და პირად შეხვედრებშიც არაერთხელ ითქვა, რომ საქართველოს ნაკრების ფორმად საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით დავადგინეთ შინდისფერი კვართი, რომელსაც გულისპირზე თითო შავი და თეთრი ზოლი დაჰყვებოდა. ახლა კი, როცა მატჩამდე ათი დღეღა რჩება, ვიგებთ, რომ შინდისფერი ფორმა რაღაც სასწაულით გალურჯებულა.

ჩვენი აზრით, ამგვარი მოქმედება შეუწყნარებელია. საზოგადოების წინაშე პირის გატეხვაზე და მორაგბეთა იმედგაცრუებაზე რომ არაფერი ვთქვათ, **იმას რაღა ვუყოთ, ირბ-ში გაგზავნილ ოფიციალურ საბუთში რომ გვიწერია, ჩვენი ფერები შინდისფერი, შავი და თეთრიაო.** ტყუილში რომ დაგვიჭერენ, მერეც მიგვიღებენ თავიანთ წევრად?

როგორც საქმის მცოდნე ხალხთან დავაზუსტეთ, მუქი ლურჯი შოტლანდიისა და დასავლეთ სამოას ეროვნული გუნდების ფერია, შინდისფერი კვართები კი არცერთ ეროვნულ ნაკრებს არა აქვს. გარდა ამისა, ეროვნული ნაკრების ფორმის მასობრივად გამოშვება და გაყიდვა თუ განგიზრახავთ, ისიც ხომ უნდა გაგეთვალისწინებინათ, რა ფერის კვართი უფრო მიიზიდავდა ხალხს — შინდისფერი თუ ლურჯი?

ჩვენი თხოვნა იქნება: **ხანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, უცილობლად შესრულდეს საზოგადოებისათვის მიცემული სიტყვა — დაუყოვნებლივ შეიმოსოს ეროვნული ნაკრები შინდისფერი ფორმით,** გია ჯაფარიძის მიერ მოფიქრებული მოხდენილი ემბლემა კი კვართებს გულისპირზე, თეთრ ზოლზე დაეხატოს. მორიგი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აქვე შეგახსენებთ, რომ უნდა დამზადდეს 23 კვართი. მათგან ზუსტად 21-ს (არც მეტსა და არც ნაკლებს) ზურგზე თეთრად უნდა ეწეროს ნომერი (1-დან 21-მდე), ორი სამარქაფო მაისური კი უნომროდ უნდა დარჩეს. რაც შეეხება უკვე შეკერილ მუქ ლურჯ კვართებს, ისინი ნებისმიერ სხვა ქართულ გუნდსაც გამოადგება.

ერთი სიტყვით, იოლი მისახვედრია, რა გვამოძრავებს: საერთაშორისო სარბიელზე გასვლასა და ირბ-ის წევრობას ვაპირებთ, პირველად ვკრებთ ეროვნულ გუნდს და, მოდით, ნუ ვჭამთ სირცხვილს მთელი სარაგბო სამყაროს წინაშე. რაც მთავარია, ღმერთმა დაგვიფაროს იმისგან, რომ საქართველოს გუნდმა პირველივე თამაში გულნაკლულმა დაიწყოს. რისი გაკეთებაც შეგვიძლია, იმას მაინც ნუ დავიზარებთ!

**პატივისცემით, საქართველოს რაგბის კავშირის მხარდამჭერი ქართული რაგბის ასოციაციის წევრები ნუგზარ გაბრიჩიძე, მალხაზ ჭეიშვილი, ბიძინა გეგიძე, მიხეილ გარუჩავა, დათო კაკაბაძე, ვალერი მანთიძე, ზაალ გიგინეიშვილი.**

იქმნება საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი

## ჩვენც ჩაგვთვალეთ წევრებად

**სასიქადულო** ქართველმა ფალავანმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვახტანგ ბალავაძემ, რომელიც, სიტყვამ მოიტანა, ერთ-ერთი ჩვენთაგანის აღმზრდელი იყო, ერთხელ კერძო საუბარში, ცოტა არ იყოს, სინანულით თქვა: ტოკიოსა და სტამბულის დიდ საჭიდაო ხალიჩებზე მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონატის ორ ოქროს მედალს ერთი ოლიმპიური „ოქრო" მირჩევნიაო!"

ძნელია არ დაეთანხმო მას. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულის წოდება ხომ მეტად საამაყოა სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ოლიმპიური ჩემპიონის წოდება სამუდამოა — არ შეიძლება ითქვას თამაშების ექს-ჩემპიონი, ყოფილი ჩემპიონი...

ცხადია, ყოველი ჩვენთაგანი ამაყობს იმ სასიამოვნო ფაქტით, რომ საქართველოს წარგზავნილებმა ოლიმპიადებზე 28 ოქროს მედალი მოიპოვეს და ჩვენს რესპუბლიკას, დამეთანხმებით, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „ოლიმპიონიკების სავანე".

საქართველოში ამ ბოლო დროს მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები, მათ შორის ოლიმპიზმით დაინტერესება, ოლიმპიური მოძრაობის გარკვეული გააქტიურება, ცხადია, დიდად გვახარებს ჩვენც, სხვადასხვა წლების ოლიმპიელებს. ყოველი ჩვენგანი სიამოვნებით გახდებოდა ოლიმპიელ ჩემპიონთა კლუბის წევრი და, ვფიქრობთ, მართლაც უპრიანი იქნება მას ბრწყინვალე ქართველი ფალავნის ავთანდილ ქორიძის სახელი მივაკუთვნოთ.

**ოლიმპიური ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები:**
**ლევან თედიაშვილი** (მიუნხენი, მონრეალი — 1972 და 1976 წლები);
**ვახტანგ ბლაგიძე, შოთა ხაბარელი** (მოსკოვი, 1980);
**დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ გოგოლაძე, ვლადიმერ აფციაური** (სეული, 1988).

## მუშაობს საკონსულტაციო საბჭო

**მიღებულია** გადაწყვეტილება, შეიქმნას „შრომითი რეზერვების" პირველადი სასკოლო (რაიონული და საქალაქო) ორგანიზაციები. საორგანიზაციო მუშაობა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდე. დაინტერესებული ორგანიზაციებისა და მუშაკებისთვის „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოში შექმნილია საკონსულტაციო საბჭო.

მისამართი: თბილისი, ოქტომბრის ქ. 134, IV სართული.

## საფეხბურთო კლუბის საბჭო შეიკრიბა

**თბილისის** „დინამოს" საფეხბურთო კლუბის საბჭოს წევრები გუშინ შეიკრიბნენ „დინამოს" სტადიონის სააქტო დარბაზში, რათა განეხილათ კლუბის წესდების საბოლოო ვარიანტი და ემსჯელათ გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე. სხდომაზე საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებიც მიიწვიეს.

წესდება შეკრებილთ გააცნო „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ო. წეროძემ. საბჭოს წევრებმა მთელ რიგ პუნქტებში შეიტანეს შენიშვნები და შესწორებები.

შემდეგ საბჭოს წევრებისა და ჟურნალისტების წინაშე მიმდინარე საფეხბურთო სეზონში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა გუნდის მთავარი მწვრთნელი დ. ყიფიანი. იგი თავის გამოსვლაში მრავალ საკითხს შეეხო და თვითკრიტიკულიც იყო. „გულშემატკივარს შედეგი აინტერესებს, ამიტომ ის ყოველთვის მართალია, მაგრამ ზოგიერთში ჭარბობს ტენდენციურობა და ემოციები. დრო გვჭირდება, რომ გუნდმა უკეთ ითამაშოს, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წელს სეზონი 26-27 ქულის მიჯნაზე დავამთავროთ" — თქვა მთავარმა მწვრთნელმა.

შემდეგ დ. ყიფიანმა და ო. წეროძემ უპასუხეს შეკითხვებს.

### დაჯილდოება

**საქართველოში** სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და სამახსოვრო ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე **ჯონი ვაშაკიძე.**

### წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა **ნელი ხალაძეს** (მხატვრული ტანვარჯიში).

აწმყო. შორიდან წარსულისაგან

დღეს ამ რუბრიკით ჩვენს გაზეთში წარმოგიდგენთ რამაზ ურუშაძეს.

(იხ. მე-8 გვ.).



## პირველ რიგში!

**ცრემლი** მომგვარა სპორტსმენ გიორგი რთველიაშვილის უმწეო მდგომარეობამ და გამახარა „ლელოს" ინიციატივამ, საზოგადოების მსჯელობის საგნად აქციოს ტრავმირებული ჭაბუკის ბედი.

უკვე წავიკითხე რამდენიმე გამოხმაურება, მაგრამ გ. რთველიაშვილს ახლა საქმე უფრო სჭირდება, ვიდრე თანაგრძნობის სიტყვები. ჩვენ ხომ ხშირად ასე ვიცით: ავღელდებით, აღვშფოთდებით, ვიხმაურებთ, ვივალალებთ, მერე ჩავცხრებით, ჩავნელდებით და დაგვავიწყდება საგანი, რისთვისაც ასე ძალუმად ვიცემდით მკერდში მჯიღს.

საქმე კი პირველ რიგში ის იქნება, რომ გიორგი რთველიაშვილს ერთოთახიანი ბინა ძეგვში (რომელიც თავაზიანად გამოუყო „თოლიამ") გადმოვუცვალოთ იმავე უწყების ახალაშენებულ ბინაზე თბილისში. რა დასამალია, სოფლად ვერც ენთუზიასტი ექიმები გაუწევენ საჭირო პროფესიულ დახმარებას და ვერც საზოგადოება გამოიჩენს სასურველ, ყოველდღიურ ყურადღებას.

მაშ ასე, პირველ რიგში სათანადო ორგანოებმა დავრდომილი ყმაწვილის ბინის საკითხი გადაწყვიტონ, მერე, თანდათან ყველაფერს მოევლება.

**რევაზ მიშველაძე.**

**რედაქცია ეთანხმება მწერლის აზრს. მართლაც აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას — ავადმყოფს დროზე უნდა შველა. ველით პასუხს „თოლიას" ხელმძღვანელებისგან.**

## ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

60944
+ 16724
+ 10800
+ 90000
+ 15420
= 0

**არა, ამ უცნაურ სათაურში მილებული პასუხი შეცდომა არ გეგონოთ. ათასებს მიმატებული ათასები ჩვენმა მოცურავეებმა შეკრიბეს და საბოლოო შედეგი ნული გამოუვიდათ. ჩვენც შევკრიბეთ და ჩვენც ნული მივიღეთ.**

**ეს როგორაო, გაიკვირვებს მკითხველი, მაგრამ ამაზე ქვემოთ, მანამდე კი...**

**საქართველოს** მოცურავეთა ნაკრებში ისეთი ძლიერი სპორტსმენები, რომლებსაც საკავშირო ჩემპიონატებში და უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებში მედლის მოპოვება ძალუძდათ, კანტიკუნტად იყვნენ. ასეთი „ოქროს თევზი" საქართველოს გუნდს ყოველ საკავშირო კომპლექსურ ასპარეზობაში ჰყავდა. წინათ ჩვენი ნაკრები გუნდები ძირითადად „ვარსკვლავების" ხარჯზე გადიოდნენ ფონს, იმ „ვარსკვლავებს" კი რამდენიმე მოცურავე უმაგრებდა ზურგს.

ფონს გადიოდნენო, რომ ვამბობთ, ახლა გვეჩვენება ასე, თორემ მაშინ ჩვენი გუნდების მიერ დაკავებული VII თუ VI ადგილებით კმაყოფილნი სრულიადაც არ ვიყავით. ან როგორ ვიქნებოდით, როცა, ბუნებრივია, მეტი გვინდოდა. ვინც მეტზე არ ოცნებობს, ვინც მიღწეულით კმაყოფილდება და ფიქრობს, ჩემი შესაძლებლობების ზღვარს მივაღწიეო, იგი, ადრე თუ გვიან, ჩამორჩენისთვისაა განწირული.

ეტყობა, ჩვენი მწვრთნელებიც მიღწეულით დაკმაყოფილდნენ. იფიქრეს, თავს ზემოთ ძალა არ არის, VI-VII ადგილს კი მუდამ დავიკავებთო და... მოცურავეთა გუნდი ისე დაეშვა ქვემოთ, როგორც თერმომეტრის სინდიყი ჩრდილოეთიდან მონაბერი ცივი ციკლონის შემდეგ. მას მერე დათბობა აღარ გვეღირსა.

ახლა ის VI-VII ადგილებიც სანატრელი გაგვიხდა.

ჩვენი მოცურავეები რომ უსაშველოდ ჩამორჩებიან, ეს არაერთხელ გვითქვამს და დაგვიწერია. მათი ჩამორჩენა კიდევ ერთხელ დაადასტურა IV ახალგაზრდულმა საკავშირო სპორტულმა თამაშებმა, სადაც საქართველოს მოცურავეთა გუნდებმა რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებების შეჯიბრებაში X ადგილი დაიკავეს.

ამ ასპარეზობაში, როგორც ცნობილია, ძლიერ გუნდებს ორი და სამი ნაკრების გამოყვანაც შეეძლოთ და გამოიყვანეს კიდეც. საბოლოო ჯამში საქართველოს წარმომადგენლებმა XIII ადგილი დაიკავეს.

საინტერესოა, რომ საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრებმა ჩვიდმეტი სახეობიდან თოთხმეტში იასპარეზეს, 210 ქულა მოაგროვეს და XI ადგილი დაიკავეს. ქალთა გუნდის წევრები ჩვიდმეტი სახეობიდან ექვსში გამოვიდნენ და 66 ქულით XIV ადგილზე აღმოჩნდნენ.

ამ ციფრობრივ მაჩვენებლებში განსაკუთრებით აშკარად ჩანს ჩვენი ქალების ჩამორჩენა.

საქართველოს ნაკრებიდან, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, ყველაზე უკეთ გამოვიდა თბილისელი ვლადისლავ სტეპანოვი, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში VIII ადგილი დაიკავა, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე XI იყო. VIII ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ანდრეი შჩუკინმაც (200 მეტრზე ბატერფლაით). ჩვენი ქალებიდან გუნდს ჩათვლა მისცეს თბილისელებმა დიანა სვინჩენკომ და იანა ბიკოვამ (ორივემ 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, შესაბამისად — XIII და XVI ადგილი).

ეს იყო და ეს, ჩვენი გუნდის დანარჩენმა წევრებმა ინდივიდუალურ სახეობებში ჩათვლა ვერ მიიღეს. საამისოდ მათ სპორტის ოსტატის შედეგები უნდა ეჩვენებინათ, მაგრამ არც ეს იყო საკმარისი. საჭირო იყო თექვსმეტ ულიერესთა შორის დამკვიდრებაც. ასეთი მოცურავე, სამწუხაროდ, მთელს საქართველოში ოთხის მეტი არ აღმოჩნდა. ეგ კი არა, შეჯიბრებაში ჩვენს გუნდს განახევრებული შემადგენლობით შეეძლო ბრძოლა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ესეც ვერ მოახერხა, მიზეზი? ასპარეზობაში მხოლოდ სპორტის ოსტატები დაიშვებოდნენ. ასეთი მხოლოდ თხუთმეტი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დონეცკის სარბიელზე მათ მხოლოდ შვიდი ოსტატის შედეგი აჩვენეს, ჩათვლა კი, როგორც ვნახეთ, ინდივიდუალურ სახეობებში, ოთხად-ოთხმა სპორტსმენმა მიიღო.

საქართველოს მოცურავეების ასეთი წარუმატებლობა მოულოდნელი სრულებითაც არ ყოფილა. მოსალოდნელი კრახის შესახებ ჩვენ არაერთხელ ვწერდით.

რამ განაპირობა საქართველოს მოცურავეთა ასეთი ფიასკო?

— შეჯიბრებაში დაიშვებოდნენ 1972 წელს და შემდეგ დაბადებული ქალები, — გვიამბობს საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი მერაბ საყვარიშვილი — რა თქმა უნდა, 1972 წელს დაბადებულებს მეტი შეუძლიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკრების ორი წევრი 1973, ხოლო სამი — 1974 წელს იყო დაბადებული. ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა ვაჟთა გუნდშიც, რომელშიც 1971 წელს და შემდეგ დაბადებულებს შეეძლოთ გამოსვლა. ჩვენს ნაკრებში რვანი 1972, ხოლო ორნი 1973 წელს იყვნენ დაბადებულნი. მიუხედავად ამისა, ეს ჩვენს სუსტ გამოსვლას სრულიადაც არ ამართლებს. ან როგორ უნდა გაამართლოს, როცა, თუ ასპარეზობის ოქმებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ შეჯიბრებაში სხვებს ჩვენზე ახალგაზრდა მოცურავეებიც გამოუყვანიათ, განსაკუთრებით გოგონები, მაგრამ ისინი ხშირად ჩვენზე სწრაფად ცურავდნენ.



საქართველოს ნაკრებს რომ ასეთი მდგომარეობა ექნებოდა, ამის თაობაზე წინასწარ ვიუწყებოდით. მაგალითად, მაშინ ვწერდით, რომ შესაფერისი ასაკის მოცურავეები, უფრო ზუსტად 1971-72 წლებში დაბადებული ბიჭები და გოგოები ნაკრებში არა გვყავს. იმასაც ვწერდით, რომ ამ ასაკის სპორტსმენები ცურვის ანბანს ათითორმეტი წლის წინათ სწავლობდნენ, ჩვენთან მათთვის ყურადღების მიქცევა კი ყველას „დაავიწყდაო".

დიახ, დონეცკში ჩვენს დღევანდელ მარცხს საფუძველი სწორედ ათი-თორმეტი წლის წინათ ჩაეყარა. ჩვენი მოცურავეები ვერც გადამწყვეტ ეტაპზე ვავარჯიშეთ ისე, როგორც საჭირო იყო. არ ვიცით, რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნაკრების თხუთმეტი წევრიდან ათმა შედეგები გააუარესა და თავიანთი სპორტის ოსტატობა ველარ დაამტკიცა. ალბათ, ან ისინი არ არიან ნამდვილი სპორტის ოსტატები, ან მწვრთნელებს უნარი არ შესწევთ თავიანთი აღსაზრდელები სეზონის მთავარი სტარტისთვის „სპორტული ფორმის" ზენიტში მიიყვანონ.

უფროსი მწვრთნელი ამბობს, რომ ჩვენი გუნდის წევრები შეჯიბრებისთვის მზად არ აღმოჩნდნენ არც ტექნიკურად, არც ტაქტიკურად, არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურადო.

რაღა დარჩა?

კვლავ უფროს მწვრთნელს მოვუსმინოთ:

— შარშან ოქტომბერში კიევში ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, სადაც სპორტსმენებმა როგორც სპეციალური, ისე ფიზიკური შემოწმება გაიარეს. მწვრთნელები ამ გამოკვლევის შედეგებს გაეცნენ და აღსაზრდელთა მზადების რეკომენდაციებიც მიიღეს. სამწუხაროდ, მეცნიერთა და მწვრთნელთა თანამშრომლობა ამით დამთავრდა. მთელი წლის განმავლობაში, სასწავლო-საწვრთნელ პროცესში ზოგიერთ მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის კონფლიქტური სიტუაციები იქმნებოდა. გუნდის წევრთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ნაკრებში ერთსულოვნება არ იყო, გუნდის წევრებს არ ჰქონდათ დასვენების საშუალება, აკლდათ ვიტამინები, ცუდი იყო კვება; სპორტდარბაზში ინვენტარის დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ნაკრები უექიმოდ დარჩა, რაც შეეხება რესპუბლიკის №3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლიდან მეთოდისტთა დახმარებას და კონტროლს, იგი უმნიშვნელო იყო.

ახლა მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები თავიანთ წარუმატებლობას ერთმანეთს აბრალებენ.

როგორც უფროსი მწვრთნელი ამბობს, მათი ერთად მუშაობა აღარ შეიძლება, იგი აღიარებს, რომ თავად მას მუშაობისთვის მეტი კონტროლი უნდა გაეწია, მწვრთნელთა საბჭოს წინაშე თავის დროზე უნდა დაესვა საკითხი კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად...

ახლა ვნახოთ, რა დაგვიჯდა ახალგაზრდული სპორტული თამაშებისთვის ჩვენი ნაკრების მომზადება. საქართველოს სპორტსახკომმა შეკრებისთვის 60944 მანეთი გადაიხადა, №3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურმა სპორტსკოლამ ამავე საქმისათვის 16724 მანეთი დახარჯა, მოცურავეთა ცენტრალიზებული კვება 10800 მანეთი დაჯდა. აუზის იჯარამ 90000 მანეთი შეადგინა, მწვრთნელთა ხელფასები 15420 მანეთია. ამ დანახარჯებმა, მთლიანად, 193 888 მანეთს მიაღწია. შედეგი? 60944 + 16724 + 10800 + 90000 + 15420 = 0-ს.

რა უნდა გავაკეთოთ მომავალში, რომ ათასები წყალში აღარ გადავყაროთ და ფსკერზე დაშვებული მოცურავეები ამოვატივტივოთ?

საამისოდ უნდა მოვამრავლოთ საცურაო აუზები თავისი „საჭყუმპალაოებით", არსებული ბაზები წესრიგში მოვიყვანოთ და „მკვდარი აუზები" გავაცოცხლოთ. რაც მთავარია, მწვრთნელებმა მონდომებით უნდა იმუშაონ, რათა ბავშვებმა იმ „საჭყუმპალაოებში" ცურვის ანბანის შესასწავლად თვეობით ამაოდ არ იარონ. იქნებ ნაკრების წევრთა არაფრის მაქნისი რაოდენობა შევამციროთ, წყალში გადაყრილი ათასებიდან გამოთავისუფლებული თანხა მწვრთნელთა ხელფასის გაზრდისთვის გამოვიყენოთ და მათ მუშაობის ინტერესი გავუღვივოთ. თორემ რა გამოდის? მწვრთნელს თუ ცუდი მუშაობისთვის ერთგან სამსახურიდან დაითხოვენ, სხვაგან მას სიხარულით ეგებებიან. მწვრთნელს და, საერთოდ ყველას, სამსახურიდან დათხოვნის და კარგი გასამრჯელოს დაკარგვის შიში თუ არ ექნება, ისე საქმე წინ ვერ წავა და ის ათასები კვლავ წყალში გადაიყრება.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

**საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მიერ მოპოვებული ქულები IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ინსტიტუტი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | მედალი სულ: | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველოს სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტი | 8.25 | 6.78 | 4.97 | 19.95 | 111.28 |
| 2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2.33 | 2.4 | 1.25 | 5.98 | 33.31 |
| 3. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი | 2.0 | — | — | 2.0 | 14.0 |
| 4. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 1,0 | 1,0 | — | 2,0 | 12.0 |
| 5. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი | — | — | 2,0 | 2,0 | 8,0 |
| 6. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი | — | 1 | — | 1,0 | 5,0 |
| 7. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი | — | 1 | — | 1,0 | 5,0 |
| 8. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | — | 0,53 | 0,39 | 0,92 | 4.21 |
| 9. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი | — | — | 1,0 | 1,0 | 4,0 |
| 10. ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი | — | — | 0,1 | 0,1 | 0,4 |
| ჯამი: | 13,58 | 12,66 | 9,71 | 35,95 | 197,2 |

შენიშვნა: I ადგილი — 7 ქულა, II ადგილი — 5, III ადგილი — 4.

გამოხმაურება

# ვალდებულნი ვართ

**უმაღლეს** სასწავლებლებში დამთავრდა მისაღები გამოცდები, რომელთაც წინ უსწრებდა ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ამ სიახლის ავ-კარგზე. „ბევრი თვლის, რომ კარგი საქმე კეთდება, ბევრსაც მიაჩნია, რომ ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლები სულაც არ იყო საჭირო", „რა საჭიროა ეს ჩათვლები, თუ მას ფაქტიურად არავითარი შეღავათი არ მოაქვს აბიტურიენტისათვის", — ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით იქნებ არც შემეწუხებინეთ, რომ არ წამეკითხა გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" (23.VIII.89 წ.) გამოქვეყნებული წერილი „რას ამოვირჩევთ? ტრიუმფატორთა მარშს თუ წინსვლის ძნელ გზას?". ფიზიკური კულტურისა და სახალხო სპორტის განვითარების კონცეფციათა ამ პროექტში შავით თეთრზე წერია: „ნება დაერთოთ უმაღლეს სასწავლებლებს შემოიღონ აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების შემოწმება მისაღები გამოცდების დროს". ეს ხომ ფაქტიურად საქართველოში დანერგილი სიახლის საკავშირო მასშტაბით გაზიარებაა! ეს, ცხადია, საამაყოა, მაგრამ, ამასთან ერთად, დასაფიქრებელიც.

მომავალ მისაღებ გამოცდებზე ამ სიახლეს ალბათ ქვეყნის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლებიც დანერგავენ. სავსებით მოსალოდნელია, რომ ისინი საქართველოში საკითხის შესასწავლად და გამოცდილების გასაზიარებლად თავიანთ წარმომადგენლებს გამოგზავნიან. და თუ ჩვენ მათ მეცნიერულად დახვეწილი და პრაქტიკულად გამართლებული გამოცდილების ნაცვლად აზრთა სხვადასხვაობა და გაურკვეველი ბურუსით მოცული სურათი დავახვედრეთ, ეს, ცხადია, ჩვენი სირცხვილი იქნება.

დრო საკმარისია იმისთვის, რომ ჩათვლების ნორმატივები და წესები კიდევ ერთხელ დაიხვეწოს, გამოიცადოს და, რაც მთავარია, გამოიძებნოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას შეღავათების უფრო ხელშესახები კრიტერიუმი. ამის გარეშე, ჩვენს რესპუბლიკაში ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების საშიშ ზღვარამდე დაქვეითების გამო, რაც არ უნდა ვიხმაუროთ, მომავალ მისაღებ გამოცდებზე ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლის მიღების მსურველთა რიცხვი მინიმუმამდე დაეცემა.

კომისიას, რომელიც ალბათ იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე, მინდა ერთი ჩემი მოსაზრებაც გავუზიარო: რადგანაც ზემოხსენებული პროექტით უმაღლეს სასწავლებლებს ნება ეძლევათ თავიანთი შეხედულებებისამებრ გადაწყვიტონ საკითხი, ხომ არ აჯობებდა — ყველა უმაღლეს სასწავლებელს, უფრო მეტიც, ფაკულტეტებსაც, საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით თავად შეედგინათ ჩასათვლელი ნორმატივები (მაგალითად, უნივერსიტეტში, ალბათ, გეოლოგიისა და უცხო ენების ფაკულტეტებზე შემსვლელებს ერთნაირი ნორმატივების ჩაბარება არ უნდა მოვთხოვოთ).

**ილია ლეკვეიშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მეთოდსაბჭოს წევრი, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგი.**

# დინამიადა სპორტის სასახლეში

**4 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით სპორტის სასახლეში ჩატარდება სოციალისტური ქვეყნების დინამიადა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.**

მონაწილეობენ: **ჩელიაბინსკის, ფრუნზეს, დნეპროპეტროვსკის, მოსკოვის, თბილისის „დინამოსა" და სოფიის „ლევსკი სპარტაკის" გუნდები.**

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

აწმყო, შორეული წარსულისაგან

# მოსაგონარი — ტკბილიც და მწარეც

**ფეხბურთის** მოყვარულები ხშირად მოგვმართავენ თხოვნით მოვუთხროთ თბილისის „დინამოს" ძველ მოთამაშეებზე. აინტერესებთ, სად არიან ამჟამად ისინი, რას ფიქრობენ დღევანდელ ფეხბურთზე, როგორ ესახებათ ჩვენი პირველი გუნდის მომავალი... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თითოეული ჩვენგანის საფიქრალი და საზრუნავია.

ჩვენი დღევანდელი სტუმარია წარსული წლების „დინამოს" კარის დარაჯი, ლევ იაშინის საპატიო კლუბის წევრი რამაზ ურუშაძე. მას ამ დღეებში 50 წელი შეუსრულდა, ამიტომაც ვეტერანთაგან სასაუბროდ სწორედ ის ავირჩიეთ.

**● გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ 1965 წელს ქუთაისის „ტორპედოდან" თქვენი „დინამოში" გადმოსვლის ამბავი. იმ დროს ხომ თბილისელთა კარს გამოჩენილი მეკარე სერგო კოტრიკაძე იცავდა, თქვენზე კი მწვრთნელები და სპეციალისტები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ.**

— სიზუსტისათვის: თბილისის „დინამოში" ბატონ ანდრო ჟორდანიას რეკომენდაციით ჯერ კიდევ 1959 წელს მიმიწვიეს, მაშინ ერთი სეზონი სათადარიგო შემადგენლობაში გავატარე, ძირითად გუნდში კი ანზორ კავაზაშვილი და სერგო კოტრიკაძე გამოდიოდნენ. აი, მეორედ კი 1965 წელს მოვედი და აქ 1971 წლამდე დავყავი.

**● მაგრამ სანამ თბილისის „დინამოს" ძირითადი მეკარის ადგილს დაიკავებდით, საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კონსტანტინე ბესკოვმა ქუთაისის „ტორპედოდან" პირველ გუნდში მიგიწვიათ. სწორედ თქვენ მოგიხდათ იტალიის ეროვნულ ნაკრებთან მოსკოვში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლევ იაშინის შეცვლა.**

— 1963 წელს ქუთაისის „ტორპედოდან" ბესკოვმა პირველ ნაკრებში მიმიწვია, ეს ჩემთვის დაუვიწყარი წელი იყო. რაც შეეხება იტალიელებთან მატჩს, სადაც პირველად მომანდეს ნაკრების ღირსების დაცვა, ეს ამბავი, პირველ ყოვლისა, ჩემთვის იყო მოულოდნელი. შეკრებაზე ორი მეკარე — იაშინი და მე ვიყავით, საწვრთნელი ციკლიც ნორმალურად მიმდინარეობდა, ყველანაირად ვცდილობდი არაფერში ჩამოვრჩენოდი კონკურენტს. იტალიელებთან მატჩის დღეს, როდესაც მწვრთნელი შემადგენლობას ასახელებდა და მითითებებს აძლევდა მოთამაშეებს, ყველასთვის მოულოდნელად პირველად ურუშაძე ახსენა. იაშინი თამაშის წინ ყოველნაირად მამხნევებდა, მხარში მედგა. მწვრთნელებიც და სპეციალისტებიც იმ დღეს ჩემი თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ. ის მატჩი მოვიგეთ 2:0, რამდენიმე დღის შემდეგ იაშინი ინგლისში მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს, სადაც მისმა თამაშმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა, განმეორებით შეხვედრაში სტუმრად იტალიელებთან კარის დაცვა კვლავ იაშინს მიანდვეს, სადაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია მსოფლიოში. მაყურებელს ალბათ ეხსომება მის მიერ მაცოლას დარტყმული თერთმეტმეტრიანის მოგერიებაც, თუმცა ბესკოვი იმ დღესაც მე მანიჭებდა უპირატესობას, ნაკრების მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კი იაშინი არჩია.

**● იტალიელებთან პირველი შესარჩევი მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში იაშინმა განაცხადა, რომ თუ ვინმე გაუწევდა ღირსეულ კონკურენციას, ეს რამაზ ურუშაძე უნდა ყოფილიყო, 10 აგვისტოს კი მის საიუბილეო მატჩზე თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ.**

— ამ ისტორიულ შეხვედრაში თბილისის „დინამოს" რამდენიმე თაობის წარმომადგენლები მიიწვიეს. დამეთანხმებით, ეს ცოტას არ ნიშნავს — გამოხვიდე მსოფლიო ვარსკვლავების წინააღმდეგ. იაშინი ჩემთვის კონკურენტიც იყო, კოლეგაც, დამრიგებელიც და აღმზრდელიც. მე მისგან დიდად დავალებული ვარ და არა მარტო მე — მის ნაღდ კაცობაზე შეუძლია ილაპარაკოს ყველამ, ვისაც მასთან მცირე კონტაქტი მაინც ჰქონია. ისე კი, მატჩში მონაწილეობაზე არც მე ვიტყოდი უარს, მით უმეტეს, რომ იაშინმა ადრეც გამაფრთხილა. ბოლო მომენტში კი მოწვევის დეპეშა აღარ მიმიღია.

**● ყველა ფეხბურთელს თავისი კარიერის მანძილზე ბევრი სასიამოვნო თუ უსიამო წუთები განუცდია. მით უმეტეს, მეკარეს, რომლის ხელთაცაა მთელი თამაშის ბედი.**

— ვხედავდი და შეჩერებაც ვერ შევძელი. ეს გოლი საბედისწერო გამოდგა ჩვენთვის. ამ შეხვედრაში დავმარცხდით — 1:2 და საკავშირო თასის მოპოვება კვლავ ოცნებად დაგვრჩა.

**● ყველა მეკარეს თავისი თამაშის ხელწერა აქვს, რამაზ ურუშაძე შეუდარებელი იყო მაღალ ბურთებზე და კარიდან გამოსვლის დროს. დღეს იშვიათია მეკარე, რომელიც საჯარიმო მოედანზე თავს ასე ლაღად გრძნობდეს.**

— ამის ახსნა თითქოს მარტივად შეიძლება. დღეს მეკარის საჯარიმოში ბევრი მოთამაშე იყრის თავს, ამიტომაც უძნელდებათ მეკარეებს მაღალ ბურთებზე გამოსვლა. ადრე კი საჯარიმო მოედანზე ნაკლები



მარცხნიდან: ლევ იაშინი, რამაზ ურუშაძე და ვალერი ვორონინი.
ფოტო „ლელოს" არქივიდან.

— კარგ მოსაგონარზე უკვე მოგახსენეთ, მსგავსი წუთები ოლიმპიურ ნაკრებში ხუთი წლის გამოსვლისას და ჩემპიონატის მატჩებშიც საკმაოდ მქონია, რაც შეეხება არასასურველს, პირველ ყოვლისა, მუდამ 1970 წლის საკავშირო თასის ფინალი მახსენდება, სადაც მოსკოველ თანაკლუბელებს ვხვდებოდით. თამაშის წინ მოთელვაზე გასვლისას ბიჭებმა იაშინზე მანიშნეს — რამაზ, ხედავ, ქუდით თამაშობს, შენც მიბაძე. მე რატომღაც ვიუარე. ეს ძვირად დამიჯდა, პირველ ნახევარში მზის წინააღმდეგ მოგვიწია თამაში და ეშტრეკოვის მიერ დარტყმული ბურთი რაღაც მოლანდებასავით წამოვიდა, მას, ფაქტიურად, ვერც

ფეხბურთელი იყო, რაც მეკარეს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა, ისინიც თამამად დაფრინავდნენ ჩამოწოდებულ ბურთებზე. ამით იმის თქმა როდი მსურს, თითქოს მეკარე მარტო ხაზზე უნდა იყოს ძლიერი, წინ გამოსვლაზე თამაში მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც მინდვრის მოთამაშისთვის საფეხბურთო აზროვნება.

**● საინტერესო იქნება თქვენი აზრი თბილისის „დინამოს" დღევანდელ მეკარეებზე.**

— ოთარ გაბელიაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, მან წლების განმავლობაში გამოავლინა ყველა ის თვისება, რომელიც აუცილებელია დიდი მეკარისთვის. მის ზურგზე არაერთ [illegible] სეზონს გადაუვლია, გაბელიას მიმართ სამდურავი არავის ეთქმის. რაც შეეხება მეორე მეკარეს ზაურ ხაპოვს — მის მიერ ჩატარებული რამდენიმე შეხვედრიდანაც ჩანს, რომ მისი სახით ალბათ სულ მალე კარის საიმედო დარაჯი დადგება. მაგრამ მინდა შევახსენოთ, რომ ის ნალჩიკის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, შესაძლოა შინ მოისურვოს დაბრუნება. ამიტომაც კიდევ ერთ მეკარეზე აქედანვე გვმართებს ზრუნვა. „ნორჩ დინამოელში", სადაც მეკარეების აღზრდა მაბარია, ამ მცირე ხნის განმავლობაშიც გამოჩნდნენ ისეთი პერსპექტიული ახალგაზრდა მეკარეები, რომლებსაც თავდაუზოგავი შრომით ბევრის მიღწევა შეუძლიათ. იმედი მაქვს, ისინი ცოტა ხანში უფრო მაღალი რანგის მწვრთნელთა ყურადღებასაც მიიქცევენ.

**● ჩვენს გაზეთში წამოიწყო პოლემიკა კინორეჟისორ ელენტის წერილზე, საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. გვაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხზე.**

— მიჭირს გარკვეული პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. არ მეგულება ქართველი კაცი, რომელსაც თავისი საყვარელი გუნდის ტრიუმფის გამეორება არ სურდეს — ყველა გულშემატკივარს ნათელ დღედ ახსოვს 1981 წლის 13 მაისი...

მაგრამ რა სახის ცალკე ჩემპიონატიც არ უნდა ჩავატაროთ რესპუბლიკაში, დღეს არა მგონია მისმა გამარჯვებულმა მსგავსი წარმატება გაიმეოროს. ამის მიზეზი ძალიან ბევრია. პირველ ყოვლისა, ალბათ ის, რომ თბილისის „დინამოდან" მოხდება ფეხბურთელთა გათესვა. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, როგორც მას უკვე ბევრი უწოდებს, თანაბარი ძალის კოლექტივებით აივსება, სადაც ზრდაზე და პროგრესზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ამგვარად, მსგავსი ჩემპიონატის გამართვა დღეს, მიზანშეუწონლად მიმაჩნია. თუ რა იქნება ხვალ და როგორ მოიმატებს რესპუბლიკის გუნდების კლასი, ამას მომავალი გვიჩვენებს. მსგავს ჩემპიონატზე ლაპარაკი, ალბათ, მაშინ უფრო უპრიანი იქნება.

ესაუბრა
**ზაზა კახაძე.**

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:5. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: მაქაცარია, სართანია, გერგედავა, მესხი, კუკავა („დინამო").

**„ივერია" (ხაშური) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: თევზაძე, ნოზაძე („ივერია").

**„არაგვი" (დუშეთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:4. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).** გოლები: კახნიაშვილი, გოჩაშვილი, („არაგვი"), როსტობაია, კაკუბავა-3 („ამირანი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 2:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: ქაფიანიძე, კომახიძე („დურუჯი"), ჩიხლაძე, იობიძე („შადრევანი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „სამგრელო" (ჩხოროწყუ) 4:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჭოლოხავა, შანავა, მორგოშია-2 („სქური"), ბენდელიანი („სამგრელო").

**„არმაზი" (მცხეთა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ბაქრაძე, ხუბერაშვილი („არმაზი").

**„მზიური" (გალი) — „სულორი" (ვანი) 3:0, მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ჯლარკავა-2, ყოლბაია („მზიური").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სიონი" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი მ. ვეკულაშვილი (თბილისი).** გოლები: ნახუცრიშვილი („ბახტრიონი"), ტყავაძე („სიონი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ბ. მოსეშვილი („სიონი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (გაგრა) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: ხურცილავა (ფიზკ. ინსტ.), ქაშიბაძე („დინამო").

ერთმანეთთან წაკინკლავებისთვის მინდვრიდან გააძევეს მ. ჯიშკარიანი („დინამო") და რ. ტოგონიძე (ფიზკ. ინსტ.).

**„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლი: მოდებაძე („მაღაროელი").

**წლევანდელი** რესპუბლიკის ჩემპიონატის მსაჯობის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მთელი რიგი თამაშები ტარდება კვალიფიციურად, ხარისხიანად, მაგრამ, ჯერ კიდევ ვხვდებით უხეირო, უპრინციპო მსაჯობის ფაქტებს.

ბათუმის „მენავთობესა" და ხონის „იმერეთის" შეხვედრაში ფოთელმა არბიტრმა ვ. წულუკიძემ თავი ვერ გაართვა დაძაბულ თამაშს, დაუშვა უხეში შეცდომები, რის გამოც მატჩის მსაჯ-ინსპექტორისგან დაიმსახურა არადამაკმაყოფილებელი შეფასება. ვ. წულუკიძის საკითხს განიხილავს რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„სინ-სპორტ. ინტ." (თბილისი) — „მიონი" 2:1, „კახეთი"— „მეტალისტი" 4:1, „ქიზიყი" — „თრიალეთი" 1:1, „შირაქი" — „სამგორი" 7:0, „კოლმეურნე" — „ალგეთი" 3:3, „გარეჯი" — „ალაზანი" 0:6, „გარისი" — სსი (მუხრანი) 3:1.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„მეშახტე" — „საირმე" 0:1, „იბერია" — „მესხეთი" 2:3, „ფარვანა" — „ვარძია" 0:1, „ლიახვი" — „თორი" 1:3, „ზარზმა"— „განთიადი" 1:1.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი" — „ეგრისი" 4:1, „სალხინო" — „ნარინჯი" 0:1, „ხვამლი" — „დვაბზუ" 3:3, „მენავთობე" — „იმერეთი" 1:1, „მშენებელი" — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 4:4, „ზანა" — „დარჩელი" 0:0.

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი" | 22 | 14 | 8 | 0 | 46-15 | 36 |
| „ამირანი" | 19 | 10 | 7 | 2 | 40-19 | 27 |
| „მაღაროელი" | 22 | 10 | 6 | 6 | 32-27 | 26 |
| „სპარტაკი" | 21 | 11 | 2 | 8 | 34-23 | 24 |
| „დინამო" ზ. | 17 | 10 | 3 | 4 | 44-22 | 23 |
| „მეტალურგი" | 22 | 8 | 7 | 7 | 37-32 | 23 |
| სპი | 19 | 9 | 4 | 6 | 42-36 | 22 |
| „სიონი" | 21 | 9 | 4 | 8 | 43-38 | 22 |
| „სქური" | 21 | 9 | 4 | 8 | 30-26 | 22 |
| „მზიური" | 20 | 8 | 6 | 6 | 34-31 | 22 |
| „სამეგრ." | 22 | 9 | 3 | 10 | 33-47 | 21 |
| „ივერია" | 20 | 8 | 5 | 7 | 31-29 | 21 |
| „დინამო" გ. | 20 | 8 | 4 | 8 | 40-40 | 20 |
| „სულორი" | 21 | 7 | 6 | 8 | 30-32 | 20 |
| „საპოვნელა" | 22 | 7 | 4 | 11 | 33-41 | 18 |
| „დურუჯი" | 22 | 7 | 2 | 13 | 26-56 | 16 |
| „არმაზი" | 19 | 3 | 8 | 8 | 18-24 | 14 |
| „ბახტრიონი" | 21 | 4 | 5 | 12 | 23-46 | 13 |
| „არაგვი" | 20 | 3 | 5 | 12 | 19-40 | 11 |
| ფიზკ. ინს. | 18 | 3 | 2 | 13 | 23-36 | 8 |

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი" | 20 | 16 | 3 | 1 | 73-25 | 35 |
| „კახეთი" | 19 | 13 | 5 | 1 | 54-21 | 31 |
| სსი (მუხრ.) | 18 | 14 | 1 | 3 | 62-22 | 29 |
| „ჰერეთი" | 17 | 13 | 2 | 2 | 41-18 | 28 |
| „გარისი" | 18 | 8 | 6 | 4 | 26-19 | 22 |
| „კოლმეურ." | 17 | 8 | 5 | 4 | 46-39 | 21 |
| „მეტალის." | 18 | 6 | 6 | 6 | 40-38 | 18 |
| „სამგორი" | 18 | 7 | 3 | 8 | 33-42 | 17 |
| „შირაქი" | 17 | 8 | 0 | 9 | 35-32 | 16 |
| „თრიალეთი" | 17 | 7 | 2 | 8 | 31-28 | 16 |
| სინ. სპორტ. | 22 | 7 | 1 | 14 | 39-57 | 15 |
| „ალგეთი" | 15 | 4 | 5 | 6 | 26-41 | 13 |
| „მიონი" | 18 | 5 | 1 | 12 | 34-51 | 11 |
| „თსუ" | 13 | 3 | 1 | 9 | 20-32 | 7 |
| „განთიადი" | 14 | 2 | 3 | 9 | 21-43 | 7 |
| „ქიზიყი" | 17 | 2 | 2 | 13 | 17-56 | 6 |
| „გარეჯი" | 18 | 1 | 2 | 15 | 20-54 | 4 |

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქართლი" | 17 | 15 | 2 | 0 | 54-18 | 32 |
| „საირმე" | 18 | 14 | 1 | 3 | 42-17 | 29 |
| „თორი" | 18 | 11 | 4 | 3 | 48-22 | 26 |
| „მესხეთი" | 17 | 11 | 2 | 4 | 53-30 | 24 |
| „ჩიხურა" | 16 | 10 | 2 | 4 | 41-21 | 22 |
| „ვარძია" | 18 | 9 | 4 | 5 | 36-24 | 22 |
| „ჩხერიმელა" | 17 | 8 | 4 | 5 | 27-24 | 20 |
| „მეშახტე" | 17 | 8 | 3 | 6 | 36-26 | 19 |
| „მამისონი" | 17 | 7 | 5 | 5 | 36-29 | 19 |
| „იბერია" | 18 | 6 | 3 | 9 | 27-35 | 15 |
| „აბული" | 16 | 6 | 1 | 9 | 42-41 | 13 |
| „განთიადი" | 18 | 4 | 3 | 11 | 25-52 | 11 |
| „ზარზმა" | 18 | 3 | 5 | 10 | 37-43 | 11 |
| „ლიახვი" | 18 | 3 | 2 | 13 | 19-47 | 8 |
| „ფარვანა" | 18 | 1 | 2 | 15 | 13-66 | 4 |
| „რაჭა" | 17 | 1 | 1 | 15 | 23-64 | 3 |

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" | 19 | 13 | 5 | 1 | 52-18 | 31 |
| პი (ქუთ.) | 19 | 13 | 5 | 1 | 45-21 | 31 |
| „ნარინჯი" | 19 | 12 | 5 | 2 | 43-23 | 29 |
| „ეგრისი" | 20 | 11 | 3 | 6 | 36-27 | 25 |
| „დვაბზუ" | 19 | 8 | 6 | 5 | 36-32 | 22 |
| „მეშახტე" | 16 | 9 | 2 | 5 | 36-20 | 20 |
| „ჩიბათი" | 18 | 9 | 2 | 7 | 37-35 | 20 |
| „დარჩელი" | 18 | 8 | 4 | 6 | 38-29 | 20 |
| „ბეთლემი" | 20 | 7 | 4 | 9 | 28-29 | 18 |
| „მენავთობე" | 20 | 7 | 4 | 9 | 35-41 | 18 |
| „ოდიში" | 18 | 7 | 3 | 8 | 36-35 | 17 |
| „ბახმარო" | 19 | 7 | 3 | 9 | 28-39 | 17 |
| „ხუბტროპ." | 15 | 7 | 1 | 7 | 30-28 | 15 |
| „სალხინო" | 20 | 5 | 4 | 11 | 27-32 | 14 |
| „ფაზისი" | 18 | 6 | 1 | 11 | 27-44 | 13 |
| „ზანა" | 20 | 4 | 4 | 12 | 19-35 | 12 |
| „მშენებ." | 20 | 4 | 3 | 13 | 29-50 | 11 |
| „ხვამლი" | 20 | 0 | 5 | 15 | 24-68 | 5 |

## უცხოელი ფეხბურთელები ბუნდესლიგაში

**გფრ-ის** საფეხბურთო კლუბებს და მათ სპონსორებს არა აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ჯეროვანი კონკურენცია გაუწიონ იტალიელ თუ ესპანელ მაგნატებს. ამით აიხსნება საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელების მუდმივი ემიგრაცია. მათ ნაცვლად ეს კლუბები იწვევენ უცხოელ მოთამაშეებს ე. წ. „გასტარბაიტერებს", რომელთა სიის ნაწილსაც ვაქვეყნებთ:

**მიუნხენის „ბაიერნი":** მაკინალი (შოტლანდია ), მიხაილოვიჩი (იუგოსლავია), იონსონი (ნორვეგია); **„კიოლნი":** გიშკე (ნორვეგია), იენსენი და პოულსენი (ორივე — დანია); **ბრემენის „ვერდერი":** ბრატსეტი და სკოგჰაიმი (ორივე — ნორვეგია), ვოტავა (ჩეხოსლოვაკია); **„ჰამბურგი":** იენსენი (დანია), იუსუფი (იუგოსლავია), ფურტოკი (პოლონეთი); **„შტუტგარტი":** გაუდინო (იტალია), ჰოტიჩი (იუგოსლავია), სიგურიონსონი (ისლანდია); **მიონხენგლადბახის „ბორუსია":** ჰერლოვსენი და რეკდალი (ორივე — ნორვეგია), შტრაკა (ჩეხოსლოვაკია), კრაუსი (ავსტრია, დაიბრუნა გფრ-ის მოქალაქეობა, რომელიც მას ადრე ჰქონდა); **„დორტმუნდის „ბორუსია":** ნიკოლიჩი (იუგოსლავია), მაკლეოდი (შოტლანდია); **ლევერკუზენის „ბაიერი":** ბუნცოლი და ლეშნიაკი (ორივე — პოლონეთი), ჟორჟინიო (ბრაზილია), ოლსენი (ნორვეგია); **„კაიზერსლაუტერნი":** ლაბადია და ალევი (ორივე — იტალია); **ჰამბურგის „სენტ-პაული":** კოჩიანი (ჩეხოსლოვაკია); **„კარლსრუე":** ბოგდანი და ფილიპოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ფამულა (პოლონეთი); **„ვალდჰოფი":** ცვეტკოვიჩი და ბურიჩი (ორივე — იუგოსლავია), თსიონარისი (საბერძნეთი); **უერდინგენის „ბაიერი":** ბერტრამი და ლაუდრუპი (ორივე — დანია), შოლტისიკი (პოლონეთი);

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ 2:2 (0:1).** გოლები გრიშინი, გრეჩნევი („ტორპედო“), ბესონოვი, ზაეცი („დინამო“).

გააფრთხილეს ტორპედოელი შირინბეკოვი.

დუბლიორები — 2:2.

**„ლოკომოტივი“ — „როტორი“ 0:0.**

დუბლიორები — 6:1.

**„დინამო“ (მინსკი) — „მეტალისტი“ 0:1 (0:0).** გოლი: ტარასოვი.
გააფრთხილეს ხარკოველი იაკუბოვსკი.

დუბლიორები — 4:2.

**„არარატი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.**
გააფრთხილეს დინამოელი კობელევი.

დუბლიორები — 2:1.

**„შახტიორი“ — „დნეპრი“ 0:0.**
გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი კულიში.

დუბლიორები — 1:1.

**„პამირი“ — „სპარტაკი“ 0:0.**

დუბლიორები — 1:2.

● **23-Ე ტური** თავისებურად უნიკალურია საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში. 30 და 31 აგვისტოს გამართულ 7 კალენდარულ მატჩში სულ გატანილია ...5 ბურთი, აქედანაც, 4 გოლი გავიდა კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრაში და ერთიც — მინსკის „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ მატჩში. ეს, დაგვეთანხმებით, ძალზე ცოტაა, ხუთი ბურთი არა თუ მთლიანი ტურის 7 შეხვედრაში, არამედ ხშირად ერთ მატჩშიც საკმაოდ იოლად გადის ხოლმე.

**შეკითხვა სტატისტიკოსებს: იყო თუ არა შემთხვევა საკავშირო ჩემპიონატებში, როცა ერთი ტურის 7 მატჩში ფეხბურთელებს ხუთი ბურთის მეტი არ გაეტანოთ?**

● **ლიგის** საუკეთესო ბომბარდირი კვლავინდებურად მოსკოვის სპარტაკელი ს. როდიონოვია. რომელმაც 18 ბურთი გაიტანა. მეორე ადგილზეა მოსკოვის დინამოელი ი. დობროვოლსკი — 10 გოლი. ოდესელმა გ. კონდრატიევმა და სპარტაკელმა ვ. შმაროვმა 9-9 ბურთი გაიტანეს.

● **I ლიგის** ლიდერთა მატჩში (ცსკა — ლანჩხუთის „გურია“ 4:1) ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა ფრიდონაშვილმა. გააფრთხილეს მისი თანაგუნდელი ლ. ბარათაშვილი.

● **I ლიგაში** ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია ქუთაისის ტორპედოელი მ. მეგრელაძე — 18 ბურთი. ერთით ნაკლები გოლი გაიტანა ცსკა-ს თავდამსხმელმა ვ. მასალიტინმა.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 3 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ კ. | 23 | 14 | 7 | 2 | 47-14 | 35 |
| „დინამო“ მნ. | 23 | 15 | 4 | 4 | 48-24 | 34 |
| „სპარტაკი“ | 23 | 14 | 6 | 3 | 51-18 | 34 |
| „დნეპრი“ | 23 | 12 | 8 | 3 | 28-22 | 32 |
| „ჟალგირისი“ | 22 | 11 | 6 | 5 | 33-14 | 28 |
| „ლოკომოტ.“ | 23 | 11 | 4 | 8 | 41-24 | 26 |
| „ტორპედო“ | 23 | 7 | 10 | 6 | 26-28 | 24 |
| „დინამო“ მ. | 23 | 10 | 3 | 10 | 38-35 | 23 |
| „შახტიორი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 25-30 | 21 |
| „არარატი“ | 22 | 7 | 6 | 9 | 26-37 | 20 |
| „დინ.“ თბ. | 21 | 6 | 7 | 8 | 31-33 | 19 |
| „მეტალისტი“ | 22 | 6 | 4 | 12 | 22-36 | 16 |
| „ზენიტი“ | 23 | 6 | 2 | 15 | 21-40 | 14 |
| „პამირი“ | 23 | 4 | 5 | 14 | 19-48 | 13 |
| „ჩერნომორ.“ | 23 | 4 | 4 | 15 | 29-50 | 12 |
| „როტორი“ | 22 | 3 | 5 | 14 | 15-44 | 11 |

**იტალია-90** **მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ**

# გადამწყვეტი მატჩი: ავსტრია — სსრ კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მთელი** ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელის 6 სექტემბერს. ამ დღეს ავსტრიის დედაქალაქ ვენის „პრატერის“ სტადიონზე შედგება 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი ავსტრიისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის.

ამ შეხვედრას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს. მას შემდეგ, რაც ავსტრიელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე 23 აგვისტოს მეტად ძნელ, მაგრამ საჭირო გამარჯვებას მიაღწიეს ისლანდიის ნაკრებთან (2:1), მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა შეექმნათ. ევროპის III შესარჩევი ჯგუფიდან ფინალში, როგორც ცნობილია, ორი გუნდი გადის, ფინალური საგზურების მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობა კვლავინდებურად აქვთ სსრ კავშირისა და ავსტრიის გუნდებს, მაგრამ საამისოდ მათ ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდებათ და ამ სიძნელეთაგან უპირველესია 6 სექტემბრის შეხვედრა ერთმანეთთან. თუ სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა, იგი ინაღდებს ფინალის საგზურს (თუმცა საამისოდ, პრაქტიკულად, ფრეც საკმარისია), მაგრამ ამავე დროს ფინალში მოხვედრის საუკეთესო შანსი აქვთ ავსტრიელებსაც, რომლებსაც ამჟამად 6 ქულა აქვთ. მათ ორი შეხვედრა შინ უნდა ჩაატარონ სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებთან და ერთიც — თურქეთთან, სტუმრად. საკმარისია ავსტრიელებმა 3 მატჩში 3 ქულა დააგროვონ და ისინიც ფინალის მონაწილენი ხდებიან. ამიტომაც, ბუნებრივია, ავსტრიელი ფეხბურთელები დასახული პროგრამის განხორციელებას უპირველეს ყოვლისა სწორედ 6 სექტემბერს შეეცდებიან. ამ გუნდის ხელმძღვანელობა და ავსტრიელი ფეხბურთის მიმომხილველები არ მალავენ, რომ მთავარი გუნდმა სწორედ 6 სექტემბერს უნდა გააკეთოს.

უკვე გამოქვეყნდა ამ მეტად პრინციპული მატჩის მონაწილე გუნდების კანდიდატთა სიები. საბჭოთა ნაკრების განაცხადში შემდეგი ფეხბურთელებია: დ. ხარინი („დინამო“, მოსკოვი), ვ. ჩანოვი („დინამო“, კიევი), ო. ლუჟნი („დინამო“, კიევი) ვ. ხიდიატულინი („ტულუზა“, საფრანგეთი), ო. კუზნეცოვი („დინამო“. კიევი), ს. გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო“, მინსკი), გ. ლიტოვჩენკო და ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი), ა. ზავაროვი და ს. ალეინიკოვი („იუვენტუსი“, იტალია), ი. დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი), ა. მიხაილიჩენკო და ო. პროტასოვი („დინამო“, კიევი), ს. როდიონოვი და ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ს. კირიაკოვი („დინამო“, მოსკოვი), ი. სავიჩევი (ტორპედო“, მოსკოვი).

განაცხადში არ არის ნაკრების კაპიტანი რ. დასაევი, რომელსაც სულ ახლახან მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ნაკრების წევრები 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს შეიკრიბნენ მოსკოვის მახლობლად მდებარე ნოვოგორსკის ბაზაზე, მოგვიანებით ჩამოვლენ „იუვენტუსში“ მოთამაშე ფეხბურთელები ზავაროვი და ს. ალეინიკოვი

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა: მთავარი მწვთრნელი ვ. ლობანოვსკი, გუნდის უფროსი ნ. სიმონიანი, მწვრთნელები ი. მოროზოვი, ს. მოსიაგინი.

გამოაცხადეს ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაც: **მეკარეები** — ლინდერბერგერი („ტიროლი“), კონსელი („რაპიდი“); **დაცვა** — აიგნერი („აუსტრია“. ვენა), არტნერი („ადმირა-ვაკერი“), პეცლი („რაპიდი“), პფეფერი („აუსტრია“, ვენა), რუსსი („ვიენა“), შტრაიტერი („ტიროლი“), ვებერი („აუსტრია“, ზალცბურგი), **ნახევარდაცვა** — ჰერცოგი („რაპიდი“), ჰერტნაგლი („ტიროლი“), ლინცე-მაიერი („ტიროლი“), ჩაკი („აუსტრია,“ ვენა); **თავდასხმა** — ა. ოგრისი („აუსტრია“, ვენა), პფაიფენბერგერი („რაპიდი“), როდაქსი („ადმირა-ვაკერი“), პოლსტერი („სევილია“, ესპანეთი). გუნდის უფროსი მწვრთნელია იოზეფ ჰიკერსბერგერი.

**ავსტრიისა და სსრ კავშირის გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ტრანსლაცია ცენტრალური ტელევიზიით 6 სექტემბერს დაიწყება 23 საათსა და 35 წუთიდან თბილისის დროით.**

# სასამართლო განიხილავს

**როგორც** პორტლენდიდან (აშშ, ოჰაიოს შტატი) იუწყებიან მადრიდის „რეალის“ კალათბურთელთა კლუბის იურისტებმა მალტნომახის საგრაფოს სასამართლოს წარუდგინეს დოკუმენტები, რათა ხელი შეუშალონ იუგოსლავიელი კალათბურთელის დრაჟენ პეტროვიჩის გადასვლას ნბა-ს კლუბ „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზში“.

თვითონ პეტროვიჩი აცხადებს, რომ კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომელიც მას გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში სხვა კლუბში გადასვლის უფლებას აძლევს. „რეალის“ იურისტები არ ეთანხმებიან სპორტსმენს და აცხადებენ, რომ მეორე, უფრო ახალი კონტრაქტი ასეთ ვარიანტს გამორიცხავს.

ერთი სიტყვით, იურისტები ედავებიან პორტლენდის სასამართლოს გადაწყვეტილებას „გამოსასყიდის“ თაობაზე. ახლა სასამართლომ თავისივე განაჩენის კანონიერება უნდა შეისწავლოს. ამასობაში კი... პეტროვიჩმა ხელი მოაწერა ნბა-ს კლუბთან კონტრაქტს, რომლის დეტალები არ არის ცნობილი. კლუბის ხელმძღვანელების განცხადებით იგი წარმოადგენს იმ დოკუმენტის განმეორებას, რომელიც „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ საბჭოთა კალათბურთელს შარუნას მარჩიულიონისს დაუდო.

# „მერანი“ № 19

**გამოვიდა** „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-19 ნომერი, რომლის ძირითადი თემაა მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობები. მკითხველი გაეცნობა ინტერვიუს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ალექსანდრე იზვოზჩიკოვთან, რომელიც, როგორც ერთ-ერთი მონაწილის მწვრთნელი, ესწრებოდა ამ შეჯიბრებებს.

პანევეჟისში ჩატარებულ მეორე საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. ამ თემას ეხება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ოთარ თურქესტანიშვილის წერილი. „გოგონებმა კვლავ გვასახელეს“.

რუბრიკით — „შედევრი“ მკითხველი ამჯერად გაეცნობა იოჰან ცუკერტორტის ერთ შესანიშნავ პარტიას მისი მდიდარი შემოქმედებიდან.

„მერანი“ ჭადრაკის მოყვარულთ სთავაზობს უნგრელი დიდოსტატის ლაიოშ პორტიშის მოსაზრებებს თამაშის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილის — დებიუტის შესახებ.

რუბრიკით „თქვენი სვლაა, მკითხველო!“ კონკურსის მონაწილენი მიიღებენ ახალ დავალებებს, გაეცნობიან ზოგიერთ საინტერესო ცნობას მსოფლიოს ექსჩემპიონ ალექსანდრე ალიოხინის შესახებ.

რუბრიკით „გვიმრავლოს!“ მკითხველი გაეცნობა ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა პრემირებულ ნაწარმოებებს.

# სპორტსმენ მილიონერთა გალერეა

**ამერიკულ პრესაში გამოჩნდა საყურადღებო ცნობები სპორტსმენ მილიონერთა შესახებ, რომელთა სიის სათავეში მოექცა მსოფლიო ჩემპიონი, მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე მაიკ ტაისონი.**

**როგორც** ჟურნალის „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, სულ რაღაც 12 თვის განმავლობაში ტაისონმა მიიღო 22 მილიონ 130 ათასი დოლარი, მას შემდეგ, რაც სძლია ლარი ჰოლმსს (2 მილიონ 800 000 დოლარი), ტონი ტიბსს (6 მილიონი) და მაიკლ სპინქსს (13 333 333 დოლარი).

ტაისონის ასეთ „ტემპს“ სხვა სპორტსმენებმა, მათ შორის მოკრივეებმა, ვერ გაუძლეს. საინტერესოა, რომ მომდევნო ადგილებზე ასევე მოკრივეებია. მეორეა მაიკლ სპინქსი, რომელმაც დროის იმავე მონაკვეთში 13 მილიონ 50 000 დოლარი ჩაიჯიბა. ამ 12 თვეში სპინქსმა სულ ერთი მატჩი გამართა (ტაისონთან, რომელმაც ორ წუთსაც კი არ გასტანა — დამარცხდა ნოკაუტით პირველივე რაუნდში. და აი, რა აღნიშნეს ყოვლისმცოდნე სტატისტიკოსებმა: ამ მატჩის თითოეულ წამში სპინქსს „დაუმსახურებია“ 112 500 დოლარი. ეს ისეთი „რეკორდია“, რომელსაც შეიძლება საერთოდ ვერავინ გადააჭარბოს. მესამე ადგილზეა ასევე განთქმული მოკრივე რეი შუგარ ლეონარდი (11 მილიონ 700 000 დოლარი).

შარშანდელ სეზონში მეოთხეა დიეგო მარადონა (4 მილიონ 800 000 დოლარი). ჯერჯერობით „ნაპოლის“ ფეხბურთელი კონკურენციას ვერ უწევს მოკრივეებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ მაცდუნებელ წინადადებებს, რომელსაც არგენტინელს სხვადასხვა კლუბები სთავაზობენ, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს წლებში იგი ტაისონის „მეტოქე“ გახდეს.

მეხუთე ადგილზეა განთქმული კალათბურთელი, 42 წლის ქარიმ აბდულ ჯაბარი (3 მილიონი დოლარი), მეექვსეზე — მოკრივე ლარი ჰოლმსი (2 მილიონი 800 000 დოლარი), ჯაბარის გარდა, დიდი ფინანსური მიღწევები აქვთ სხვა ამერიკელ კალათბურთელებსაც, სიაში მერვეა პატრიკ იუნგი (2 მილიონ 750 000), მეცხრე — ირვინ ჯონსონი (2 მილიონ 500 000), მეცხრამეტე — მაიკლ ჯორდანი (2 მილიონ 150 000).

ჰოკეისტთაგან ყველაზე მეტი გასამრჯელო მიიღო განთქმულმა კანადელმა გრეცკიმ, რომელიც სიაში 26-ე ადგილზეა (2 მილიონი) 1988 წლის შედეგების მიხედვით. ჩოგბურთელთა შორის ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონდა შვედ მატს ვილანდერს (47-ე ადგილი, 1 მილიონ 726 731 დოლარი), რომელმაც ცოტათი გაუსწრო დასავლეთგერმანელ ბორის ბეკერს (49-ე ადგილი, 1 მილიონ 696 953 დოლარი). ამ სპორტსმენ-მილიონერთა სიაში ჩოგბურთელი ქალებიც მოხვდნენ — შტეფი გრაფი (გფრ) 84-ე ადგილზეა (1 მილიონ 378 128 დოლარი), მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 90-ზე (1 მილიონ 333 782 დოლარი).

განთქმული ავტომრბოლი ალან პროსტი 94-ე ადგილზეა (1 მილიონ 305 000), საყურადღებოა, რომ პირველ ასეულში ვერცერთი მძლეოსანი ვერ მოხვდა. ბენ ჯონსონმა, სანამ სეულში სამარცხვინო ფიასკოს განიცდიდა, მიიღო 1 მილიონ 100 000 დოლარი, საგრძნობლად ჩამოიტოვა უკან კარლ ლუისი (850 000) და საიდ აოუიტა (750 000).

სპორტულ პრესაში სხვა საინტერესო ცნობებსაც ამოვიკითხავთ. დიდი შემოსავალი აქვთ სპორტულ მიმომხილველებსაც. მათ შორის „რეკორდსმენია“ სი-ბი-ესის რაგბის კომენტატორი ბრენტ მასბერგერი, რომელმაც შარშან 1 მილიონ 900 ათასი დოლარი ჰონორარი მიიღო, რითაც მცირედით ჩამორჩა... რუუდ გულიტს (1 მილიონ 980 000 დოლარი), მაგრამ გაასწრო... მათს ვილანდერს.

ამერიკაში ესოდენ პოპულარული გოლფის მოთამაშეები ჰონორარის თვალსაზრისით ზემოჩამოთვლილ სპორტსმენებს ვერ შეედრებიან, მაგრამ ბევრად სჯარბობენ მათ სხვადასხვა პროდუქციის რეკლამაში. ამ მხრივ 1988 წელს ყველას აჯობა გოლფის მოთამაშემ არნოლდ პალმერმა, რომელმაც 8 მილიონი დოლარი მიიღო, მეორეზეა კვლავ გოლფის მოთამაშე გრეგ ნორმანი (7 მილიონი), მესამეზე — კიდევ ერთი გოლფისტი ჯეკ ნიკლაუსი (6 მილიონი). სამივეს კონკურენციას უწევს ჩოგბურთელი ბორის ბეკერი (5 მილიონი დოლარი), რომელიც მეოთხე ადგილზეა.

**მოამზადა ზიძი ბამრეკელმა.**

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 35-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 27 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.367.514 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (45) მოგება 1.106 მანეთია, ოთხისთვის (2.079) — 29, სამისთვის (31.677) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 32.323 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—62, 3-650.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 13.892.835 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (19) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.228) — 178, სამისთვის (142.661) — 8.

საქართველოში დაშვებულია 396.063 ვარიანტი. 5—0, 4—126, 3. — 4.233.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 35-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 25-27 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.539.980 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (9) მოგება 5.900 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (182) — 583 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (2.297) — 161 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 176.403 ვარიანტი. 13—0, 12—5, 11—105.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00358